



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 27 აპრილი, 2018 წელი

დრო: 15:00 -17:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. რაისა ლიპარტელიანი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
2. ნუგზარ კობხრიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
3. ია თიკანაძე - ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში
4. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
5. მარიამ ოზაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
6. გრიგოლ ბაკურაძე - საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი

განსახილველი საკითხები:

- 2018 წლის სამოქმედო გეგმა და სამუშაო ჯგუფის გამართულ მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები
- საპენსიო რეფორმა
- აგარასა და ტყიბულის შრომითი დაგები
- სასამართლო დაგები სს „რუსთავის აზოტისა“ და სსიპ „საზოგადოებრი მათწყბელის წინააღმდეგ“
- სხვა საკითხები

მეხუთე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა რაისა ლიპარტელიანმა. მან ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის ჩატარების მიმართულება განსაზღვრა.

ჯგუფის კოორდინატორმა პირველ და უმთავრეს საკითხად დააყენა მეხუთე სამუშაო ჯგუფის 2018 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება, თუ რა საკითხებზე უნდა მოხდეს მსჯელობა და მუშაობა წლის მანძილზე. მან ჯგუფის წევრებს წარუდგინა იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება მოიცვას ჯგუფმა. კოორდინატორებმა განმარტეს, რომ პლატფორმის მეხუთე სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს ასოცირების დღის წესრიგთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფის წევრებმა თავიანთი წინადადებებიც წარმოადგინეს. ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ მეხუთე სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია გაიგზავნება ყველა წევრ ორგანიზაციასთან, რომლებსაც მიეცემათ გონივრული დრო თავიანთი შეხედულებების თუ წინადადებების წამოსაყენებლად. ამის შემდეგ მიღებული სამოქმედო გეგმა წარედგინება საკოორდინაციო საბჭოს დასამტკიცებლად.

ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კობრეიძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია რეგიონალური ჩართულობა ჯგუფის მუშაობის პროცესში. ამიტომ შესთავაზა ჯგუფის წევრებს აღნიშნული მიმართულებითაც მოხდეს საკითხების განხილვა. ასევე ისაუბრა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის აუცილებლობაზე, სადაც უნდა მოხდეს მეხუთე სამუშაო ჯგუფის სახელით წინადადებებისა და ინიციატივების გაუქვრება.

ია თიკანაძის შეთავაზებით უნდა მოხდეს თემების გადანაწილება იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანიზაცია რა თემებზე მუშაობს და რა მიმართულებით არიან აქტიურები. ის საკითხები რომლებიც თანხვედრაში იქნება სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმასთან და ამავე ჯგუფში შემავალ ორგანიზაციების სამუშაო თემებთან, მოხდეს პლატფორმის ჩართვა და მათი სახელითაც წარდგენა.

რაისა ლიპარტელიანმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა ის მნიშვნელოვანი შედეგები, რომელსაც პროფკავშირებმა მიაღწია უახლოეს პერიოდში. აღნიშნული მიღწევა უკავშირდება აგარაში მცხოვრებ მოსახლეობას და „აგარა“-ს შაქრის კომპანიას. ქარხანამ 2017 წლის ნოემბერში შეწყვიტა მუშაობა, რამაც აგარის მოსახლეობას ეკონომიკური პრობლემები შეუქმნა. საწარმოში 500 ადამიანი, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა იყო დასაქმებული. პროფკავშირების, აგარის ქარხნის ხელმძღვანელების და ბიზნესომბუდსმენის შეხვედრაზე გადაწყდა გადაწყდა, რომ აგარის ქარხნის თანამშრომლები ხელფასს 1 მაისიდან მიიღებენ, ამ პერიოდიდან ასევე დაიწყება ქარხანაში სარემონტო სამუშაოები.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე, წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება წერილით მიმართონ სახალხო დამცველს და სთხოვონ შეხვედრა პლატფორმის წევრებთან. აღნიშნულ შეხვედრაზე მოხდება მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა. პლატფორმის წევრი ორგანიზაციები სოციალურ თემებთან დაკავშირებით წარუდგენენ სახალხო დამცველს

თავიანთ ხედვებს, გააცნობენ პლატფორმის მუშაობის სამოქმედო გეგმას და შესთავაზებენ სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის პერსპექტივებს.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე